პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 116 (5406)
1975 წ.
12 ივნისი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტული დელეგაციის მთავარი მეტოქეა ყაზახეთის კოლექტივი

სხვაობა 185 ქულას შეადგენს

	5 სახეობის შემდეგ	სტენდი	ცურვა	სულ
რსფსრ	3328	24	1031	4383
უკრაინა	3018	42	623	3683
მოსკოვი	2622	72	878	3572
ლენინგრადი	2054,5	24	840	2918,5
ბელორუსია	1843	30	284	2157
ყაზახეთი	1502	12	175	1689
საქართველო	1310	30	164	1504
უზბეკეთი	1175	6	100	1281
ლატვია	1081	—	124	1205
ლიტვა	998,5	—	198	1196,5
მოლდავეთი	1046	—	6	1052
აზერბაიჯანი	898	—	78	976
ესტონეთი	849	14	8	871
სომხეთი	852	—	—	852
ყირგიზეთი	757	8	—	765
ტაჯიკეთი	669,5	—	24	693,5
თურქმენეთი	453	—	27	480

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში გათვალისწინებულია ის ქულებიც, რომლებიც დელეგაციებმა დააგროვეს 1973 წელს ახალგაზრდობის სპორტულ თამაშებში. შვიდ სახეობაში უკვე ჩატარებულმა შეჯიბრებებმა (კრივი, წყალბურთი, მშვილდოსნობა, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, სასტენდო სროლა და ცურვა) უცვლელი დატოვა ადგილები ლიდერთა შორის. სპარტაკიადას დიდი უპირატესობით იგებს რსფსრ-ს სპორტული დელეგაცია. მას მიჰყვებიან უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და საქართველოს დელეგაციები.

ახალგაზრდული თამაშების შემდეგ ლატვია VIII ადგილზე იყო, მაგრამ დღეისთვის მას უზბეკეთმა გაუსწრო. დანარჩენ ადგილებზე ცვლილებები არ მომხდარა.

პრიზებისთვის მებრძოლი კოლექტივების შედეგები ძირითადად ცურვის შემდეგ განმტკიცდა. საქმე ისაა, რომ ცურვა, ისევე როგორც მძლეოსნობა, ბევრ ქულას იძლევა და ამ სახეობებში წარმატებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო შედეგების დაჯამებაში.

რუსეთის ფედერაცია 5 სახეობის შემდეგ 310 ქულას უგებდა უკრაინას. მომდევნო სახეობაში — სასტენდო სროლაში უკრაინამ 18 ქულით აჯობა თავის მთავარ მეტოქეს, მაგრამ ცურვაში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა 1031 ქულა აიღეს, უკრაინელებმა კი — მხოლოდ 623. ცხადია, სხვაობა მთავარი პრიზისთვის მებრძოლ ამ ორ დელეგაციას შორის კიდევ უფრო გაიზარდა და 700 ქულა შეადგინა.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა ყურადღება, ბუნებრივია, მიპყრობილია საქართველოს გუნდების გამოსვლებისადმი. ახალგაზრდული თამაშებიდან მოყოლებული, საქართველოს დელეგაცია VII ადგილზეა, ყაზახეთისა კი — VI. მაშინ სხვაობა 126 ქულას შეადგენდა, დღეისთვის კი, 7 სახეობის შემდეგ, იგი გაიზარდა 185 ქულამდე ყაზახეთის დელეგაციის სასარგებლოდ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში კარგად ჩანს ამ ორი დელეგაციის სპორტული მეტოქეობის სურათი და მათ მიერ დაგროვილ ქულათა რაოდენობა.

	ყაზახეთი	საქართველო
კრივი	126	88
მშვილდოსნობა	—	42
წყალში ხტომა	42	6
წყალბურთი	42	36
თან. ხუთჭიდი	28	—
სტენდი	12	30
ცურვა	175	164
ახალგ. თამაშები	1264	1138
სულ	1689	1504

მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში კარგად იასპარეზა თბილისის დინამოელმა მოცურავემ, 13 წლის ი. პოტაპოვამ. 56-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში V ადგილი დაიკავა და ნორჩ მოცურავეთა საკავშირო რეკორდიც (9.24,57) დაამყარა. ინგას მამა — კონსტანტინე პოტაპოვი ავარჯიშებს.

სურათზე: ი. პოტაპოვა.

ა. გურასაშვილის ფოტო.

34 ქულა

ხმლით ფარიკაობაში საქართველოს გუნდმა IV ადგილი დაიკავა (28 ქულა). როგორც წინა ნომერში ვიტყობინებოდით, პირად ტურნირში ქუთაისელმა ესპადრონისტმა ა. გაგულაშვილმა 6 ქულა მოაგროვა. ამრიგად, ჩვენმა ხმლით მოფარიკავეებმა რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ყულაბაში 34 ქულა შეიტანეს.

სპარტაკიადის ტაბლო

ფრუნზე. 7-8 ივნისი. სასტენდო სროლა.

ადგილიდან სროლა. ა. ალიპოვი (მოსკოვი) — 199 (სსრ კავშირის რეკორდი), ა. კლეკოვი (უკრაინა) — 197, გ. გალკინი (ბელორუსია) — 195, ო. კულაკოვი (მოსკოვი) — 194, ვ. სკორობოგატოვი (ყაზახეთი) — 194, ა. ანდროშკინი (ლენინგრადი) — 194, პ. სენიჩევი (ესტონეთი) — 194, ვ. მონაკოვი (უკრაინა, პირადი) — 193, პ. ვეხმი (ესტონეთი) — 192.

მრგვალი სტენდი. თ. იმნაიშვილი (საქართველო) — 198, ი. ცურაპოვი (რსფსრ) — 198, ა. კონსტანტინოვი (უკრაინა) — 198, ი. ბერეზიუკი (ლენინგრადი) — 196, ა. სეჩკინი (ბელორუსია) — 195, ა. ალიევი (მოსკოვი) — 195, ვ. ანდრეევი (ყირგიზეთი) — 195, ი. ტიმოფეევი (უზბეკეთი) — 195.

საერთო გუნდური: მოსკოვი — 72 ქულა, უკრაინა — 42, საქართველო — 30, ბელორუსია — 30, ლენინგრადი — 24, რსფსრ — 24, ესტონეთი — 14, ყაზახეთი — 12.

პირველი გამარჯვება ფინალში

გუშინწინ დონის როსტოვში ბრძოლა დაიწყო „თეთრი ეტლის“ პრიზის გათამაშების ექვსმა ფინალისტმა, რომელთა შორის თბილისის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის მოჭადრაკეებიც არიან.

I ტურში თბილისელები შეხვდნენ ერევნის მე-12 საშუალო სკოლის გუნდს. ა. თოფურიამ დაამარცხა პირველთანრიგოსანი რ. აირაპეტიანი, გ. ხომერიკმა — მეორეთანრიგოსანი ს. მკრტჩიანი, ბ. გოროზიამ — მეოთხეთანრიგოსანი ა. შაგინიანი, თამარ ებანოიძემ — პირველთანრიგოსანი ა. ალასარიანი. ი. კუზმინისა და ერევნელი პირველთანრიგოსნის ა. ამბარცუმიანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4,5:0,5.

გთავაზობთ სხვა შეხვედრების შედეგებს: ტაშკენტის მე-17 სკოლა — ჟიტომირის 25-ე სკოლა 3,5:1,5, ბობრუისკის 27-ე სკოლა — ჩიმიშკინის რაიონის (მოლდავეთი) სკოლა 3:2.

მ. თოფურია.

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

სამი შეხვედრა

გასულ შაბათს და კვირას გამართული მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) 3:15, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „სლავა“ (მოსკოვი) 0:15, „სპარტაკი“ (კიევი) — „ფილი“ (მოსკოვი) 6:16.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტ.“ (თბ.)	2	2	0	0	20:14	4
„ავტომობილისტი“	2	1	1	0	15:3	3
„ლოკომოტ.“ (მ.)	2	1	1	0	12:0	3
სამხ. საჰ. აკად.	2	1	0	1	33:16	2
„სლავა“	2	1	0	1	22:13	2
„ფილი“	2	1	0	1	24:19	2
„სპარტაკი“	2	1	0	1	19:23	2
„ივერია“	2	1	0	1	15:19	2
„ბურევესტნიკი“	2	0	0	2	7:30	0
საავიაც. ინსტ.	2	0	0	2	12:42	0

„ფინის“ კლასში...

ესპანეთში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი „ფინის“ კლასის ნავებისთვის. კონტინენტის ოქროს ლაურეატის სახელი მოიხვეჭა 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ფრანგმა მორიმ, რომელსაც 35 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. ვერცხლის მედალი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ჰაულეტმა მოიგო (51,4), ხოლო ბრინჯაოსი — იტალიელმა პელაშერმა (53,4).

საბჭოთა სპორტის ღირსებას ბალაშოვი იცავდა და სამი რბოლის შემდეგ კარგადაც ჰქონდა საქმე: I ადგილზე იყო. საბჭოთა აფროსანმა ბოლო რბოლაშიც კარგად იასპარეზა — III ადგილი დაიკავა, მაგრამ სხვა სერიებში უხეიროდ გამოსვლის გამო საბოლოოდ VII ადგილზე აღმოჩნდა (77,7).

„იოლი მატჩები არ გვქონია“

ბელგრადი, 11 ივნისი. (საკდეპის კორ. ი. როდიონოვი). „კარლოვაცში ყველა წინასწარი მატჩი ძნელ ბრძოლაში ჩატარდა“, — უთხრა საკდეპის კორესპონდენტს სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა. — ჩვენი ქვეჯგუფის შემადგენლობა სპლიტისა და რიეკის ქვეჯგუფებთან შედარებით უფრო თანაბარი აღმოჩნდა და იოლი მატჩები არ გვქონია. საბჭოთა ნაკრებში პირველ ეტაპზე კარგად ითამაშეს სერგეი ბელოვმა, ჟარმუხამედოვმა, მილოსერდოვმა და ქორქიამ“.

„და მაინც, წინასწარ მატჩებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა, — აღნიშნა სსრ კავშირის ნაკრების მეორე მწვრთნელმა ს. ბაშკინმა. — ყველა ფავორიტი ფინალში გავიდა. ევროპის წინა ჩემპიონატთან შედარებით თითქმის ყველა გუნდის თამაშის დონემ იმატა. დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა“.

ბაშკინმა დასძინა, რომ კარგად ასპარეზობენ ჩემპიონატის მასპინძლები — იუგოსლავიის სპორტსმენები. „ისინი, ფიზიკურად და ტაქტიკურად საუცხოოდ არიან მომზადებული, თანაც გულშემატკივართა უდიდეს მხარდაჭერას გრძნობენ. პირველ მატჩებში გამოირჩეოდნენ იუგოსლაველები ჩოსიჩი და კიჩანოვიჩი, იტალიელი მენეგინი, ლაიკი და ბრაბანდერი (ორივე — ესპანეთი)“.

იუგოსლავიის გაზეთები ჩემპიონატს დიდ ყურადღებას უთმობენ, მაგრამ მისი საბოლოო პროგნოზისაგან თავს იკავებენ. მაინც, „სპორტმა“ დაბეჭდა ინტერვიუ იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელთან მ. ნოვოსელთან, სადაც იგი ამბობს, რომ საბჭოთა ნაკრების ამჟამინდელი შემადგენლობა უფრო ძლიერია, ვინემ ის, რომელმაც შარშან პუერტო-რიკოში ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში.

„საბჭოთა კალათბურთელების თამაშმა წინასწარ მატჩებში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა“, — თქვა ნოვოსელმა.

საქართველოს პროფსაბჭოში

შემდგომი ამაღლებისთვის

საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ იმსჯელა ჩვენში ფეხბურთის ჩამორჩენაზე.

პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითმა სპორტსაზოგადოებებმა და რესპუბლიკურმა კომიტეტებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებათა შესასრულებლად „ზოგიერთ არაჯანსაღ მოვლენაზე სპორტის ცალკეულ სახეობებში და განსაკუთრებით ფეხბურთში“. 1974 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგებმა ცხადყო, რომ ზოგიერთ საფეხბურთო კოლექტივში გაუმჯობესდა აღმზრდელობითი და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, გაიზარდა სექციებში მომეცადინეთა რაოდენობა, აგრეთვე სხვადასხვა შეჯიბრების მონაწილე გუნდების რიცხვი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გუნდი (მწვრთნელი ფ. ქელიძე) შარშან ფიზკულტურის კოლექტივების საკავშირო თასის მფლობელი გახდა, მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და თასი, სპორტკლუბ „ელვის“ კოლექტივმა თბილისის ჩემპიონობას მიაღწია.

ჩვენს პროფკავშირულ გუნდებში აღიზარდა რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკი ფეხბურთელი, რომლებიც საკავშირო ნაკრებში გამოდიოდნენ. მათ შორის არიან ქუთაისელები თ. კოსტავა, რ. შენგელია, ი. კვერნაძე, გ. გაბიჩვაძე (მწვრთნელი კ. ხურციძე) და გორელი ვ. ვლაშჩენკო (მწვრთნელი კ. თურაზაშვილი).

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტულ ბაზაზე ჩამოყალიბდა „განთიადის“ სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა ბავშვებისთვის, სადაც მუშაობენ ისეთი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, როგორიც არიან ვ. რამიშვილი და ა. კოტრიკაძე. ქარხნის ხელმძღვანელობა (დირექტორი ი. ხვედელიანი) სკოლას დიდ დახმარებას უწევს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა მუშაობაში ფეხბურთის განვითარების მხრივ ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ხარვეზები. დაბალ დონეზე დგას ოსტატთა გუნდების მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი, არასაკმარისადაა გამოყენებული ფეხბურთის მასობრივი განვითარების საშუალებანი ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივებში, ნაკლები ყურადღება ეთმობა მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეთა აღზრდას ადგილობრივი ახალგაზრდობის რიცხვიდან, არაა შექმნილი პირობები მოსამზადებელი ჯგუფების ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნორმალური წვრთნისთვის, ხშირია შემთხვევები, როცა ოსტატთა გუნდები სხვა ქალაქებიდან იწვევენ ფეხბურთელებს და არ ზრუნავენ საკუთარი კადრების აღზრდისთვის, ამას გარდა, საწვრთნელი ბაზებისა და სათამაშო მინდვრების ნაკლებობა ხელს უშლის პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა გუნდების შემდგომ დაოსტატებას.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი არსებული საფეხბურთო მინდვრების კეთილმოწყობის აუცილებლობას. აღინიშნა, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონის რემონტი და ამაში დამნაშავე მოიჯარე ორგანიზაციაა. კაპიტალურ რემონტს საჭიროებს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს „სინათლისა“ და ფოთის „ვოდნიკის“ სტადიონები.

სერიოზულად ვნებს საქმეს ის, რომ ბავშვებთან და ჭაბუკებთან მწვრთნელებად მუშაობენ დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, არასათანადო დონეზე დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ფეხბურთელებთან. სწორედ ამისი შედეგია ხშირი დარღვევები მთელ რიგ გუნდებში, რისთვისაც სხვადასხვა ვადით დისკვალიფიკაცია მიეცათ ლ. ბურჯანაძეს, ბ. ფრიდმანს (ორივე — გორის „დილა“), გ. სიმონიშვილს, ზ. მაისურაძეს (ორივე —

(დასასრული მე-3 გვ.).

ფეხბურთი

მსაჯთა საკავშირო კოლეგიაში

ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სია არბიტრებისა, რომლებიც საერთაშორისო მატჩებს ჩაატარებენ. ესენი არიან: ვ. რუდნევი (მოსკოვი), ი. სამუსენკოვი (მოსკოვი), ა. ივანოვი (ლენინგრადი), პ. კაზაკოვი (მოსკოვი), ი. სერგიენკო (ხარკოვი), ე. აზიმ-ზადე (ბაქო), მ. რუბენისი (რიგა). პირველი ოთხი მსაჯი შეიძლება არბიტრად დაინიშნოს ეროვნული ნაკრები გუნდების დონეზე გამართულ მატჩებში.

მსაჯთა კოლეგიაზე ცსკა-სა და „დნეპრს“ შორის საკავშირო ჩემპიონატის მატჩში დაშვებული შეცდომებისთვის ლენინგრადელ ვ. ბლოვს სეზონის ბოლომდე აეკრძალა თამაშების ჩატარება. მისი თანაშემწე გ. ბაქანიძე (თბილისი) არ იმსაჯებს პირველი წრის მატჩებში. ა. მილჩენკო (სოხუმი) ასევე დისკვალიფიცირებულია პირველი წრის ბოლომდე „ფახთაქორისა“ და „ტორპედოს“ მატჩში დაშვებული სერიოზული შეცდომებისთვის.

(საკდეპის კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI სპარტაკიადა

იქნებ ეს წინსვლის დასაწყისია?

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ საქართველოს მძლეოსნებს კარგი საჩუქარი მოუმზადა: მისი თაოსნობით კაპიტალურად შეკეთდა „ლოკომოტივის“ სტადიონის სარბენი ბილიკები და სექტორები, შეიძინეს მძლეოსნური ინვენტარი. რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილეებმაც მადლობის ნიშნად საქართველოს ხუთი რეკორდი დაამყარეს. მართალია, აქედან ოთხი ჭაბუკთა და იუნიორთა რეკორდია, მაგრამ ამგვარ მიღწევებს დანატრებული „სპორტის დედოფლის“ მოყვარულებისთვის ესეც დიდი წყალობაა.

ტურნირმა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, რამდენიმე საიმედო შედეგი მოგვცა, შეივსო მაღალთანრიგოსანთა რიგები. რეზინ-ბიტუმის ბილიკები უწინდელზე სწრაფი გამოდგა. ამანაც შეუწყო ხელი, რომ სპრინტერმა ვაჟებმა ერთგვარად საიმედო შედეგები მოიპოვეს, თბილისის დინამოელმა ბ. მექვაბიშვილმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ა. ბედუკაძე) კი 200 მეტრზე შეჯიბრებაში იუნიორთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა (21,5) და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის რეკორდსმენი გახდა მახარაძელი გ. ხალიბინი („კოლმეურნე“). გ. ერქომაიშვილის მოწაფე, რომელიც პირად პირველობაში გამოდიოდა, 735 სანტიმეტრ სიგრძეზე გადახტა.

ჭაბუკთა რეკორდები დაამყარეს თბილისელი მწვრთნელის ი. გიგაურის მოწაფემ რ. ბაირამოვმა („ლოკომოტივი“) შუბის ტყორცნაში (72,16) და თბილისელმა სტუდენტმა დ. წოწკოლაურმა (მწვრთნელი ო. ოდიშვილი) უროს ტყორცნაში (64,40). ამ უკანასკნელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი პირველად შეასრულა.

საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ვ. შმაკოვის მოწაფემ დ. საბაურმა თითქმის ერთი თვის წინათ ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში შუბის მტყორცნელ ქალთა შორის საქართველოში პირველმა გადალახა 52-მეტრიანი ზღვარი — 52,46. და აი, ახლა ამ შედეგს მან კიდევ 1,18 მეტრი მიუმატა. ეს იმედს გვაძლევს, რომ საბაური სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში თავს არ შეირცხვენს.

კიდევ ვინ შეიძლება წარმატება მოიპოვოს ხალხთა სპარტაკიადაში? ესენი არიან სამხტომში სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი, უროს ტყორცნაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჯ. ფხაკაძე და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. მოშიაშვილი (სამივე — „დინამო“), რომელმაც საქართველოს ჩემპიონობა 110 მეტრზე თარჯრბენში ძალიან იოლად მოიგო (რესპუბლიკური სპარტაკიადის დროს სანეევი ჩეხოსლოვაკიაში გამოდიოდა, ფხაკაძე კი გდრ-ში იყო).

რესპუბლიკურმა ტურნირმა კიდევ რამდენიმე კანდიდატი დაასახელა. დინამოელმა ნ. ზვიადაურმა, რომელმაც ორიოდე კვირის წინათ თბილისელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის ნორმა პირველად შეასრულა (80,90), ახლაც საკმაოდ მაღალი შედეგი (79,70) მოიპოვა. გ. გუდაშვილმა („დინამო“) ბადროს ტყორცნაში სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა, მის მოწაფეს ნ. ნაზღაიძეს კი ამ ზღვარის გადალახვისთვის 36 სანტიმეტრი არ ეყო.

სიმაღლეზე ხტომაში, მართალია, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამაკმაყოფილებელი შედეგი კარგა ხანია აღარავის მოუპოვებია, მაგრამ, რაღაცის იმედით, ამ სახეობაში შეჯიბრება მაინც მუდამ იზიდავს მაყურებლებს. ამჯერად იმედი გამართლდა. საქართველოს რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი მ. ალიაკრინსკაია (თბილისი, „ბურევესტნიკი“) ყველა ახალ სიმაღლეს გაბედულად უტევდა, 163 სანტიმეტრის მერე სექტორში იგი მარტო დარჩა და 180 სმ გადალახა. მერე სპორტსმენმა იერიში რესპუბლიკურ რეკორდზე მიიტანა, სამივე ცდაზე მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ ეს ამოცანა მაინც ვერ შეასრულა.

არც ვაჟთა ბრძოლა იყო უინტერესო. ფოთელმა პირველთანრიგოსანმა ა. ილინმა („შრომითი რეზერვები“), გარდა იმისა, რომ პირადი რეკორდი ერთბაშად 6 სანტიმეტრით გაზარდა, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა, მისმა თბილისელმა თანაგუნდელმა ვ. პოპოვმა კი 208 სმ დაძლია, თუმცა ისიც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს დასჯერდა. საერთოდ, სიმაღლეზე ხტომაში ოთხმა დანარჩენმა მონაწილემ პირველი თანრიგის ნორმას გადააჭარბა.

ვ. ჩუკანოვისგან (თბილისი, „სპარტაკი“) სიგრძეზე ხტომაში სპეციალისტები მეტს ელოდნენ, ამ ჭაბუკს თავისი შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ გამოუვლენია მთლიანად და, თუ ეს პროცესი ხალხთა სპარტაკიადის დღეებს დაემთხვა, ჩუკანოვმა მოსკოვში ჩასათვლელი ქულები უნდა მოიპოვოს. ასეთივე შანსი აქვს სამხტომში ჩუკანოვის თანაგუნდელს მ. ფრიდმანს.

საქართველოს მძლეოსანთა შედეგების ანალიზი გვარწმუნებს, რომ სპარტაკიადისთვის მწვრთნელთა ერთ ნაწილს ცუდად არ უმუშავია, მით უმეტეს, თუ ბაზების ნაკლებობას გავითვალისწინებთ. ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებთან შედარებით შედეგები რამდენიმე სახეობაში მაინც ამაღლდა, თუმცა, რაც გაკეთდა, ჯერ კიდევ უკმარია. სამ დღეში ნაჩვენებია 4 სპორტის ოსტატის, 11 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 58 პირველი თანრიგის შედეგი, საკავშირო სპარტაკიადაში კი ამით ბევრს ვერაფერს გავხდებით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაბალი იყო ქალთა შედეგები (სიმაღლეზე ხტომის, ბადროს და შუბის ტყორცნის გარდა), აგრეთვე, მარათონელთა, სპორტული სიარულის ოსტატთა, სტაიერთა და მრავალჭიდელთა მაჩვენებლები. იმის მიუხედავად, რომ გუნდური ჩათვლის მინიმალური ზღვარი პირველი თანრიგის შესაბამისი შედეგები იყო, პროგრამის 12 სახეობაში გამარჯვებულებმაც კი მიზანს ვერ მიაღწიეს. გავიხსენოთ გუნდური ტურნირის შედეგები. გორელებმა საერთოდ ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვეს, სამხრეთ ოსეთის ვაჟებმა 4 ქულა ძლივს დააგროვეს, ქალებს ქულა არ მიუღიათ, აჭარის ქალთა გუნდი 3 ქულას დასჯერდა, ფოთისა და რუსთავის ქალთა კოლექტივები — 5-5 ქულას...

თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს სპარტაკიადის I ჯგუფში შემავალ ზუგდიდს, ჭიათურასა და ტყიბულს გუნდები არ ჰყავდათ, ნათელი იქნება, რა მდგომარეობაა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: მ. ალიაკრინსკაია ასპარეზობის დროს; შუბს ტყორცნის ნ. ზვიადაური.

ავტორის ფოტოები.

ნავები არ ჰყოფნიდათ

ფოთის პორტის შესასვლელთან, ღია ზღვაში, რვა დღეს გაგრძელდა საქართველოს აფროსანთა პირველობა ოლიმპიური კლასის ნავებით. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის გუნდები. მონაწილენი თავიდანვე უთანაბრო პირობებში ასპარეზობდნენ: თუ „ფინის“, „მფრინავი ჰოლანდიელისა“ და კატამარან „ტორნადოს“ ნავები ყველა გუნდს ჰქონდა, „სოლინგის“, „ტემპესტისა“ და „470“ კლასების ნავები რესპუბლიკაში თითებზე ჩამოსათვლელია. მაგალითად, აფხაზეთის აფროსნებმა „სოლინგისა“ და „ტემპესტის“ ნავები ტუაპსელი სპორტსმენებისგან ითხოვეს.

„ფინის“ კლასში გაიმარჯვა თბილისელმა გ. ბიგანიშვილმა (მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ბიგანიშვილმა ნავის მართვის კლასი საკმაოდ აიმაღლა და შარშან სსრ კავშირის უძლიერესთა ათეულშიც მოხვდა). II ადგილზე გავიდა სოხუმელი ი. ზერკალოვი. III ადგილი დაიკავა ბათუმელმა დ. კარაპეტიანმა.

„მფრინავი ჰოლანდიელით“ შეჯიბრებაში ყველას აჯობა თბილისელმა ვ. ქიტუაშვილმა (მეზაგირე თ. მელაძე). მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ვ. კალფასა (ბათუმი) და რ. მიროშნიჩენკოს (სოხუმი).

კატამარან „ტორნადოთი“ შეჯიბრება მოიგო სოხუმელმა ზ. ახუბამ. II ადგილი დაიკავა ვ. პეტროსიანმა (ბათუმი), III — ვ. ბორზენკომ (ფოთი).

„ტემპესტის“ კლასში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულით რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონობა ხვდათ თბილისელებს თ. ზოიძესა და გ. ვარდიკოვს. II საპრიზო ადგილი დაიკავეს ვ. ცატუროვმა და გ. გიორგობიანმა (სოხუმი).

„სოლინგებით“ ტურნირში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისელთა ეკიპაჟი (მესაჭე ნ. დავლიანიძე, მეზაგირეები გ. ნასარიძე და გ. თინიკაშვილი). სოხუმელთა ეკიპაჟი, რომლის მესაჭე იყო ზ. ხუხუა, II ადგილზე გავიდა. რაც შეეხება „470“ კლასის ნავს, აქ სარბიელზე მარტო აფხაზეთის კოლექტივი გამოვიდა.

თბილისელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში ქულით აჯობეს აფხაზეთის გუნდს, რომელმაც 37 ქულა მოაგროვა. III ადგილი წილად ხვდათ აჭარის აფროსნებს — 15 ქულა. მასპინძლები 10 ქულით IV ადგილს დასჯერდნენ.

სპარტაკიადამ, რომელსაც საკავშირო კატეგორიის მსაჯი დ. ვარძელაშვილი უძღვებოდა, კარგად ჩაიარა. ნავების სიმცირის მიუხედავად, ბრძოლები ბოლომდე პრინციპული და დაძაბული იყო.

აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ გუნდების ნავებით უზრუნველყოფას.

ი. ფერაძე,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

რამდენიმე სტრიქონით

✦ ჩოხატაური

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში 32 ორგანიზაციის 240 ტყვიის მსროლელი მონაწილეობდა. სხვადასხვა საფეხურის ნორმატივები 220 კაცმა ჩააბარა.

• • •

რაიონის 14 საშუალო სკოლის 28 მოსწავლე მონაწილეობდა ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებაში, რომელიც ფარცხმის ტყე-პარკის სასროლეთზე ჩატარდა. გუნდური პირველობა ჩოხატაურის 1-ლი სკოლის კოლექტივმა მოიგო.

რ. ოსეფაიშვილი.



გასწორება

„ლელოს“ 11 ივნისის მე-8 გვერდზე დაბეჭდილ მასალაში „სურამის ციხის მაგალითზე“ მოხდა დასანანი გაუგებრობა: ქვედა ფოტოს ნაცვლად, რომელზეც აღბეჭდილი უნდა იყოს ტყიბულის სტადიონის გაპარტახებული ტრიბუნა, დაიბეჭდა სხვა ობიექტის ხედი. სინამდვილეში ტყიბულის სტადიონის ტრიბუნა ასე გამოიყურება.

სპორტული ხაშური

დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური პირველობები ჭადრაკსა და კალათბურთში. მოჭადრაკეთა ტურნირში I ადგილი ხვდა ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის გუნდს (ზ. ტაბატაძე, გ. თედიაშვილი, მ. აბაზაძე). კალათბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ხაშურის 1-ლი, კალათბურთელ ჭაბუკთა ტურნირში — ხაშურის მე-3 საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა.

• • •

შაშში მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში რაიონის 30 საშუალო და რვაწლიანი სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ. ჩემპიონის სახელი ხვდა ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის ნაკრებს.

• • •

„სპარტაკის“ რაისაბჭოს ძალოსანთა პირველობაში გაიმარჯვეს ა. ალაჯანაშვილმა, გ. არჯევანიძემ, ზ. ნოზაძემ, ო. რევაზიშვილმა, ტ. გონგლაძემ, ჯ. ჯიქურაშვილმა და კ. მირკაძემ.

ზ. მოსეშვილი.
(ჩვენი კორ).

რამდენიმე სტრიქონით

✦ სიღნაღი

მოსწავლე ფეხბურთელთა 16 გუნდი მონაწილეობდა რაიონის პირველობაში. ფინალში ძველი ანაგის საშუალო სკოლის გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა მაშნაარელები და დაიკავა I ადგილი.

• • •

18 გუნდის მონაწილეობით მოეწყო იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი ანაგის კოლმეურნეობისა და წნორის მექანიკური ქარხნის გუნდები. გამარჯვება (1:0) და საპატიო თასი ძველანაგელებს ხვდათ.

თ. ბექაშვილი,
სპორტსკოლის დირექტორი.

მოჭადრაკეებთან, მოშაშეებთან...

ჩოხატაურის რაიონის სოფლის საკლუბო დაწესებულებების მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 21 კოლექტივი მონაწილეობდა (თითოეულ გუნდში — ორი ვაჟი და ერთი ქალი). I ადგილი დაიკავა საჭამიასერის ნაკრებმა. ჩემპიონობა მოიპოვეს: ვაჟთა შორის — გ. ყარაჯაშვილმა (შუა ფარცხმა), ქალთა შორის — მ. კალანდაძემ (ნაბეღლავი).

მოშაშეთა მსგავს შეჯიბრებაში 22 გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვეს ჩოხატაურელებმა.

ამ შეჯიბრებებში 26 მოჭადრაკემ და მოშაშემ II და III თანრიგების ნორმატივები შეასრულა.

დ. გურგენიძე,
სოფ. კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში.

სწორად ამოხსნეს

„ლელოს“ 22 მაისის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის (თბილისი) საჭადრაკო ამოცანა სწორად ამოხსნეს: თ. კინწურაშვილმა (ცხაკაია), რ. ბურდილაძემ (ონი), გ., მ. და ნ. ჭკადუებმა (სამივე — სოხუმი), ე. ჭუმბურიძემ (თერჯოლის რაიონი, სოფ. ზედა სიმონეთი), ტ. და ო. მამულაშვილებმა (ორივე — თბილისი).

ამოცანის ამოხსნაა: 1. ეh8 მფd7 2. მf6+; 1. ... მფc8 2. მe7+; 1. ... მფe8 2. მh6+.

ფეხბურთი '75

საქართველოს პროფსაბჭოში

შემდგომი ამაღლებისთვის

დასასრული

რუსთავის „მეტალურგი") და სხვებს, ხოლო გარდაბნის „რუბეროიდი" (მწვრთნელი ბ. გვენცაძე) ხულიგნური საქციელისთვის მთლიანი შემადგენლობით დისკვალიფიცირებულია 1 წლით.

ოსტატთა გუნდების საფინანსო-სამეურნეო მუშაობის შემოწმებამ გამოავლინა საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. II ლიგის ოსტატთა გუნდის შენახვის საკითხში დარღვევები მოხდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის (დირექტორი ი. მაჭავარიანი), სამტრედიის „ლოკომოტივის" (დირექტორი მ. გაგუა) და ლანჩხუთის „კოლმეურნის" (დირექტორი ს. ჟორდანია) სტადიონებზე.

ოსტატთა გუნდის შენახვის არსებულ წესს სისტემატურად არღვევდა ფოთის „ვოდნიკის" სტადიონის დირექცია, რისთვისაც, საქართველოს პროფკავშირების პრეზიდიუმის დადგენილებით, სამუშაოდან მოიხსნა დირექტორი კ. უდოვიჩენკო. მაგრამ ფოთის პორტის პროფკომიტეტის თავმჯდომარემ დ. კანკიამ იგი თვითნებურად აღადგინა ამ თანამდებობაზე.

ყოველივე ამის გარდა, აღინიშნა ისიც, რომ ადგილებზე არ მიმართავენ გადამწყვეტ ზომებს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების რენტაბელობის ამაღლებისთვის.

საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა საყვედური გამოუცხადა გორის სტადიონის დირექტორს ი. მაჭავარიანს, სამტრედიის სტადიონის დირექტორს მ. გაგუას და ლანჩხუთის სტადიონის დირექტორს ს. ჟორდანიას. ოსტატთა გუნდების შენახვის არსებული წესის უკონტროლობისთვის, დაშვებული ფინანსური დარღვევებისთვის მიეთითათ „განთიადის" თავმჯდომარეს ა. გიორგობიანს, „კოლმეურნის" თავმჯდომარეს ვ. ჟღენტს, „ლოკომოტივის" თავმჯდომარეს თ. კაჭახიძეს და „ვოდნიკის" თავმჯდომარეს ვ. იორაიშვილს. საქართველოს პროფკავშირების დადგენილების შეუსრულებლობისთვის ფოთის პორტის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარეს დ. კანკიას გამოეცხადა საყვედური.

პროფკავშირების საოლქო და რესპუბლიკურ კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებს დაევალათ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის, გააუმჯობესონ სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობა ოსტატთა გუნდებში, დაწესდეს ოსტატთა გუნდების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მკაცრი კონტროლი. ყველა ხარჯი გაღებული უნდა იყოს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად.

სპორტსაზოგადოებათა სასწავლო-სპორტულ განყოფილებებში საშტატო მუშაკებიდან უნდა გამოყონ პასუხისმგებელი პირები ფეხბურთში საორგანიზაციო მუშაობის წარმართვისთვის. პრეზიდიუმების სხდომებზე სისტემატურად უნდა იქნეს მოსმენილი ფეხბურთში წარმოებული მუშაობის საკითხები.

სპორტსაზოგადოებებს „განთიადს", „კოლმეურნეს", „ლოკომოტივს" დაევალათ მოამზადონ წინადადებები, რათა 1975-76 წლების მანძილზე ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები გადაკეთდეს ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტულ სკოლებად, ამასთან, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათამაშო მინდვრებით, სპორტული ინვენტარით და საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკებით. გადაწყდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს დირექციის წინაშე (ა. ჩაგანავა) დაისვას საკითხი, რომ წლეულს, ჩაატაროს სპორტკლუბ „სინათლის" სტადიონის კაპიტალური რემონტი. „განთიადის" ხელმძღვანელობამ სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად უნდა გადაჭრას გორში სასწავლო-საწვრთნელი ბაზის მოწყობის საკითხი.

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა გუნდებისთვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად საქართველოს პროფკავშირების ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილებასთან უნდა შეიქმნას მწვრთნელთა საბჭო.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „იმერეთი" (წულუკიძე) — „განთიადი" (თბილისი) 4:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

თავი გამოიჩინა წულუკიძელმა სანოძემ, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა. მეოთხე გოლი მაჭარაძეს ეკუთვნის. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს დუდამ და მაზინჩუკმა.

● პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარძია" (ასპინძა) 3:0. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

ბურთები გაიტანეს კვარაცხელიამ, წიკლაურმა და ჟორდანიამ.

● „დურუჯი" (ყვარელი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

ანგარიში გახსნა ცხაკაიელმა ქირიამ, ხოლო როცა მატჩის დასასრულს სულ რამდენიმე წამი აკლდა, „ეგრისის" კარში დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა ქელეხიძემ.

● „დინამო" (სოხუმი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

სტუმრებმა კარგად ითამაშეს ლიდერის წინააღმდეგ და პირველ ტაიმში დაწინაურდნენ კიდეც (გაგუა), შემდგომ „დინამომ" შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, დრაჩმა ჯერ გაქვითა გოლი ხოლო მერე დააწინაურა თავისი გუნდი.

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „შუქურა" (ქობულეთი) 0:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „კოლხეთი" (ხობი) — ასკ (თბილისი) 3:2. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ბებუტეიშვილმა, გვასალიამ და ფარცვანიამ, ხოლო არმიელთაგან — ოსაძემ და ჩიკვინაძემ.

● „კოლხეთი" (ფოთი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:3. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

„მაღაროელის" კარგ თამაშს ფოთელებმა უხეშობა დაუპირისპირეს. სწორედ უხეში თამაშისთვის დაინიშნა მათს კარში 25-ე წუთზე პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა კაციტაძემ. შემდეგ მსაჯი იძულებული იყო იმავე მიზეზის გამო მეორე 11-მეტრიანი დაენიშნა და კაციტაძემ კვლავ შეძლო მისი რეალიზება. ჭიათურელთა გამარჯვება დააგვირგვინა ა. სევასტოპულოს მესამე გოლმა.

● უნივერსიტეტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

ანასაშვილმა და ქუმსიაშვილმა ტაიმებში თითო გოლი გაიტანეს სტუმართა კარში. 86-ე წუთზე გორელმა ფსუტურმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ი. ცერცვაძე (სოხუმი).

მეტალურგებიდან ბურთები გაიტანეს მაცაბერიძემ და ცინცაძემ, ხოლო თბილისელთაგან — ებანოიძემ.

● „კახეთი" (თელავი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

გოლი გაიტანა ცირეკიძემ.

• • •

სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებით, ხაშურის „ივერიას" წაგება ჩაეთვალა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო"	16	11	4	1	32—16	26
„მაღარ."	14	10	3	1	34—6	23
პოლ. ინსტ.	15	9	2	4	38—19	20
„იმერეთი"	15	8	4	3	20—12	20
უნივერს.	12	8	3	1	18—8	19
ფიზკ. ინსტ.	15	7	5	3	23—14	19
„დურუჯი"	15	6	5	4	16—16	17
„ამირანი"	14	7	3	4	12—15	17
„კახეთი"	14	7	2	5	23—12	16
„სალხინო"	14	6	4	4	19—11	16
„კოლხეთი" (ფოთი)	15	7	2	6	16—17	16
„ივერია"	15	5	5	5	15—12	15
„ქართლი"	14	5	5	4	20—20	15
„შუქურა"	16	3	9	4	18—23	15
„მეშახტე"	15	4	4	7	22—25	12
„მეტალურ."	15	5	2	8	13—20	12
ასკ (თბ.)	14	4	3	7	21—22	11
„განთიადი"	16	3	4	9	13—21	10
„ეგრისი"	14	1	6	7	17—29	8
„კოლხეთი" (ხობი)	15	2	3	10	9—31	7
„ლოკომოტ."	16	2	2	12	7—33	6
„ვარძია"	15	0	4	11	8—32	4

II ჯგუფი

I ზონა

„არაგვი" (მცხეთა) — „განახლება" (ადიგენი) 4:3, „ალაზანი" (გურჯაანი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:4, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ქიმიკოსი" (ახმეტა) 2:3, „ჩამომსხმელი" (ბორჯომი) — „ყინწვისი" (ქარელი) 3:1, „ციხკარი" (სიღნაღი) — „განთიადი" (კასპი) 0:4, „ფოლადი" (რუსთავი) — „მადნეული" (ბოლნისი) 3:2, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „სამცხე" (აწყური) 5:2, „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:1.

II ზონა

„მექადალდე" (ზუგდიდი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 6:0, „ნაკადული" (ჩხოროწყუ) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:0, „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „მშენებელი" (ბათუმი) 2:0, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 0:4, „ჩიხურა" (საჩხერე) — „სულორი" (ვანი) 0:1, „დინამო" (ქუთაისი) — „გიგანტი" (ლაითური) 1:1.

საჯარიმო დაფიდან

რესპუბლიკურ გათამაშებათა განვლილი ტურის მატჩებში კვლავ იყო დისციპლინის უხეში დარღვევათა შემთხვევები, რაზეც განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას.

ფოთის „კოლხეთისა" და ჭიათურის „მაღაროელის" მატჩის დროს ფოთის სტადიონზე არ იყო ელემენტარული წესრიგიც კი. მსაჯის გასახდელთან თავი მოიყარეს ხულიგნებმა, რომლებსაც იქ არავითარი საქმე არ ჰქონდათ, ისარგებლეს ადგილობრივი ადმინისტრაციის უმოქმედობით და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს ხანში განიხილავს ფოთის სტადიონის საკითხს.

ანალოგიური ამბავი მოხდა საჩხერეში. ადგილობრივი გუნდის წაგებით განაწყენებულმა მაყურებლებმა მსაჯის ცემა მოინდომეს, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ „ჩიხურის" ფეხბურთელები და მხოლოდ ამით გახდა შესაძლებელი ინციდენტის თავიდან აცილება. ეტყობა, არც ფოთში, არც საჩხერეში არავინ ზრუნავს იმისთვის, რომ ფეხბურთის მატჩების დროს სტადიონზე საჭირო წესრიგი იყოს.

ფოთის შესაბამისი სპორტული ორგანიზაციების მისამართით კიდევ ერთი სერიოზული პრეტენზია უნდა გამოვთქვათ. აქაური „კოლხეთის" ფეხბურთელი მ. ცომაია წლეულს სამჯერ იყო გაფრთხილებული. ამ თავაშვებული ხულიგნის ალაგმვა მაინც არ მოხერხდა. ცომაიამ მეოთხე გაფრთხილება მიიღო ჭიათურელებთან შეხვედრაში უხეში თამაშისთვის, მან კი მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფით უპასუხა. მ. ცომაია მინდვრიდან გააძევეს.

ასპინძის „ვარძიის" ფეხბურთელი ჯ. ლეკიშვილი მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ამ სეზონში მეორედ გააძევეს მინდვრიდან. მ. ცომაია და ჯ. ლეკიშვილი, დებულებას თანახმად, თითო წლით იქნებიან დისკვალიფიცირებული, მაგრამ არა გვგონია, ამ დროის გასვლის შემდეგ ფეხბურთში მათმა დაბრუნებამ რაიმე სარგებლობა მოუტანოს ჩვენს სპორტს.

ბათუმის „მშენებლის" ფეხბურთელმა ო. სიორიძემ უწმაწური სიტყვებით მიმართა მსაჯს, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს. თუ გავიხსენებთ, რომ სიორიძე ამ გუნდის რიგით მესამე ფეხბურთელია, რომელსაც მინდვრიდან აძევებენ, აშკარა გახდება ბათუმის „მშენებელში" პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ერთობ დაბალი დონე.

წლევანდელ სეზონში მეორე გაფრთხილება მიეცა ვანის „სულორის" წევრს თ. სულაბერიძეს.

გაფრთხილება მიიღეს, აგრეთვე, სხვა ფეხბურთელებმა: დ. ნუცუბიძემ (ვანის „სულორი), ნ. ხოვრუზოვმა (ადიგენის „განახლება"), ა. ქარელიშვილმა (ახმეტის „ქიმიკოსი"), დ. დარჯანიამ (გეგეჭკორის „სალხინო"), გ. ლომთათიძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ბ. ამბარიანმა (ახალციხის „მესხეთი"), ნ. ჯაბუამ (ქობულეთის „შუქურა"), ქ. გოგიბერიძემ (ლაითურის „გიგანტი"). მეორედაა გაფრთხილებული საგარეჯოს „პოლიტექნიკოსის" წევრი ვ. კობახიძე.

წესრიგის დარღვევათა ასეთი მასობრივი შემთხვევები ცხადს ხდის, რომ რესპუბლიკური შეჯიბრებების მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებმა საგანგებო ზომებს უნდა მიმართონ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ხოლო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურ კომისიას დასჭირდება კიდევ უფრო გადამჭრელი ზომების მიღება ჩვენს ფეხბურთში უხეშობის აღსაკვეთად.

მატჩი გადატანილია

სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა" და კიევის „დინამოს" შორის, რომელიც დანიშნული იყო 11 ივნისს, გადატანილია 25 ივნისისთვის.

თამაშის კლასის სხვადასხვა მხარე

ფეხბურთში თვით ყველაზე სახელგანთქმული გუნდიც კი ვერ ახერხებს მუდამ გამარჯვებას, ისევე როგორც თვით ყველაზე სახელგანთქმული მოთამაშეებიც კი ვერ იცხოვრებენ მინდორზე ძველი წარმატებების პროცენტებით. ყოველი მორიგი მატჩი ულმობელი სიმკაცრით ხელახლა ცდის და ამოწმებს მათ.

აი, თავისი შეკითხვები წამოჭრა გასულ კვირას გამართულმა სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრები გუნდების მატჩმაც, რომელშიც კვლავ ვიხილეთ სრული შემადგენლობით კიევის „დინამო". „როგორ შთაბეჭდილებას დატოვებენ დინამოელები ძალიან ტექნიკურ გუნდთან შედარებით?" „როგორი იქნება თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული კოლექტივი ყველაზე მაღალ დონეზე?" „შეინარჩუნა თუ არა გუნდმა საუკეთესო სპორტული ფორმა?"

მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენმა გუნდმა საგაზაფხულო, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი წარმატებების შემდეგ სწორედ ამ მატჩში გამოხატა ყველაზე მკაფიოდ თავისი ღირსებები. თასების მფლობელთა თასის გათამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის შეხვედრებში ის, სავსებით ბუნებრივია, აზარტითა და შთაგონებით იყო შეპყრობილი, ამხანაგურ მატჩში კი მიეცა შესაძლებლობა ეთამაშა მშვიდად, რამდენადაც კი ეს საერთოდ შესაძლებელია ფეხბურთში, სადაც გარდა ანგარიშისა, არსებობს პრესტიჟიც. თავდაპირველად ეს სიმშვიდე გადამეტებული ჩანდა: საშუალო ტემპი ხელს აძლევდა იტალიელებს და თავდასხმაში აზრიანი თამაშითა და უზადო ტექნიკით მიაღწიეს იმას, რომ პირადად რუდაკოვთან ჰქონოდათ საქმე. მეკარემ ყველა გამოცდა წარმატებით ჩააბარა, ჩვენ კი დავრწმუნდით, რომ იტალიის განახლებული ნაკრების თამაში უკვე დღეს შესანიშნავი სანახაობაა.

შემდეგ უპირატესობა ხელთ იგდო საბჭოთა ნაკრებმა და მატჩის დიდი ნაწილი სწორედ ასე წარიმართა. განსაკუთრებით სასიამოვნო ის იყო, რომ იგი უფრო მრავალფეროვნად, უფრო საინტერესოდ თამაშობდა, ვიდრე მისი მეტოქე, ის უფრო გამოცდილი ჩანდა ტაქტიკურ ბრძოლებში, იტალიელები კი თავიანთი ტექნიკური ფორვარდების ექსპრომტებს ენდობოდნენ... გოლი, რომელმაც სსრ კავშირის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა, ა. კონკოვმა გაიტანა ლამაზი ტემპიანი კომბინაციის შემდეგ. ამან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ თამაშის საბჭოთა ფეხბურთელებისეული გაგება უფრო თანამედროვეა.

მატჩი ცოცხლად ჩატარდა. აშკარად იგრძნობოდა ორივე მხარის სწრაფვა გამარჯვებისკენ. შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ გვყავს გუნდი, რომლის წარმატებებიც ამ გაზაფხულზე შემთხვევითი არ იყო. ეს გუნდი უპასუხებს ბევრ მოთხოვნას, გაერთიანებულს ერთ ცნებაში — „მაღალი კლასი". საკუთარი ძალის რწმენა, რაც იმაში პოულობს გამოხატულებას, რომ გუნდს შესწევს მატჩის მსვლელობის თავისი გეგმისამებრ ცვლის უნარი, სწორედ ის თვისებაა, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო კლასის გუნდისთვის. ჩაბარებულია კიდევ ერთი გამოცდა, მაგრამ ჯერ კიდევ რამდენი გამოცდაა წინ?

მე ვფიქრობ, მომავალში კიევის „დინამოს", რომელმაც უკვე ბევრი გააკეთა საბჭოთა ფეხბურთისთვის, ჩვენ დამსახურებად ჩავუთვლით იმას, რასაც ლიდერი უმაღლეს ლიგაზე მოახდენს თავისი თამაშით, თავისი გამოცდილებით.

რა მდგომარეობაა ქვეყნის ჩემპიონატში?

თუ ძალიან მოკლედ ვიტყვით, პასუხი ალბათ ასეთი იქნება: შესაძლებლობათა სრული თანასწორობა. გამოვლინდნენ ლიდერი და ერთი აუტსაიდერი: კიევის „დინამო" და როსტოვის ასკ. დანარჩენი გუნდები იმდენად მჭიდრო ჯგუფად მოძრაობენ, რომ მათს მიერ დაგროვილი ქულების რაოდენობას დამახასიათებლად ვერ მივიჩნევთ. ამიტომ, ნუ ვიჩქარებთ შეფასებას. შევჩერდეთ ერთ საერთო ხასიათის მოვლენაზე.

საერთაშორისო ტურნირებში დაკანონდა ორი მატჩისგან შემდგარი შეხვედრების ფორმულა: შინ — გამარჯვება, სტუმრად — ფრე. ეს ფორმულა უჩვეულოდ იოლად მიიღეს ჩვენს ჩემპიონატშიც. თუმცა, მნიშვნელოვანი საფუძველი იმისთვის, რომ ზემოხსენებულ წესს არ გადაუხვიოთ, არ ჩანს, ვინაიდან ყველა გუნდი სტუმრად ყოველ წელიწადს ერთსა და იმავე სტადიონებზე თამაშობს და სიგრძე-სიგანით უნდა ჰქონდეს ისინი შესწავლილი. ამავე დროს, წლევანდელ ჩემპიონატში სტუმრად წაგებულია 45 მატჩი და მოგებულია მხოლოდ 10 (მე არ ვგულისხმობ მოსკოვის კლუბების მატჩებს ერთმანეთს შორის, სადაც სტუმრებად და მასპინძლებად დაყოფა აშკარად სიმბოლურია). დამეთანხმებით, რომ ამგვარ შეფარდებას მხოლოდ დისპროპორცია შეიძლება ეწოდოს.

ჩემი აზრით, არის ერთი აუცილებელი პირობა საიმისოდ, რომ გუნდები ერთნაირად გრძნობდნენ თავს ნებისმიერ სტადიონზე: რწმენა იმისა, რომ მსაჯი მათ არ ყოფს სტუმრებად და მასპინძლებად. ჩვენ თვალწინ გვაქვს „ცხელ-ცხელი" მაგალითი და ისღა დაგვრჩენია კომენტარი გავუკეთოთ მას, რამდენადაც ტელევიზიამ როგორც ტრანსლაციის დროს, ისე „სპორტულ დღიურში" რამდენიმეჯერ დამაჯერებლად გვიჩვენა დამახასიათებელი ეპიზოდი. მატჩი ცსკა — „დნეპრი". ანგარიშია 3:1 ცოცხლად და თამამად მოთამაშე სტუმრების სასარგებლოდ. და აი, უცებ მსაჯმა ვ. ალოვმა პენალტი დანიშნა მათს კარში, თუმცა არავითარი დარღვევა არ მომხდარა. ეჭვიც არ მეპარება: იგი ასე მოიქცა მხოლოდ იმიტომ, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე პენალტი დანიშნა მოსკოველთა კარში, თუმცა სამართლიანად. ახლა მან „ობიექტურობის" გამოჩენა და განზე გადგომა მოისურვა, შემმოწმებელმა კომისიამ მოსკოველი მსაჯების შემადგენლობით ვ. ალოვს „ორიანი" დაუწერა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი სასჯელს მიიღებს. მსაჯის საქციელი (სწორედ საქციელი და არა შეცდომა, რადგან ეს ამბავი მეტისმეტად მარტივ, ელემენტარულ სიტუაციაში მოხდა) იზომება არა „დნეპრისთვის" დაკარგული ქულით (მატჩის ანგარიშია 3:3), არამედ სამართლიანობის რწმენის დაკარგვით. 16-დან შვიდ გუნდს ჯერ არ მოუგია მატჩი სტუმრად. „დნეპრი" მათს რიცხვშია. იგი იმთავითვე სუსტად თამაშობს სტუმრად. მწვრთნელი ვ. კანევსკი ცდილობს აღმოფხვრას ეს ჩვევა, მაგრამ აი, ამჯერად... მსაჯმა უღალატა. რაც განსაკუთრებით საწყენია, ყველა, ვისაც კი ამ ამბის შესახებ ვესაუბრე, ერთხმად ამბობდა: დნეპროპეტროვსკში იგი ასეთ პენალტს არ დანიშნავდაო. ესე იგი, გარდა თამაშისა, არსებობს მსაჯობა „შინ და სტუმრად". ისღა დაგვრჩენია, რომ ეს ამბავი ფეხბურთისთვის ერთ-ერთ ყველაზე მავნე მოვლენად მივიჩნიოთ. სპორტულმა ორგანიზაციებმა და პრესამ ნამდვილი ომი უნდა გამოუცხადონ იმ მსაჯებს, რომლებიც კონიუნქტურით ხელმძღვანელობენ, ხალისით ლაპარაკობენ შინ და სტუმრად თამაშში არსებულ განსხვავებაზე, თუმცა მნიშვნელოვანწილად თვითონაც ხელს უწყობენ ამ განსხვავებას.

ალოვმა იცოდა, რას აკეთებდა. მეორე მსაჯმა ი. სამუსენკოვმა კი არ იცოდა, რა უნდა ექნა, როცა თბილისის „დინამოს" და „ჩერნომორეცის" მატჩის დროს მოთამაშენი ზომაზე მეტად გაშმაგდნენ. ამიტომ მან უყურადღებოდ დატოვა რამდენიმე აღმაშფოთებელი დანაშაული.

მსაჯთა საქმეებში წესრიგის დამყარება, არბიტრებში მაღალი პასუხისმგებლობის ატმოსფეროს შექმნა ფეხბურთის კლასის საერთო ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ლ. ფილატოვი,
საკლესის ფეხბურთის მიმომხილველი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ახალი პრეტენდენტი — ჯორჯესკუ

ამ ბოლო ხანებში ტრადიციულ პრიზს „ოქროს ბუცს" ახალი, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი პრეტენდენტი გამოუჩნდა. სანამ იასალდე („ლისაბონის „სპორტინგი"), გეელსი (ამსტერდამის „აიაქსი") და ონისი („მონაკო") ერთმანეთს შორის ცხარედ დაობდნენ, მათ „წამოეპარა" ჯორჯესკუ ბუქარესტის „დინამოდან".

ახლა სნაიპერებს შორის ასეთი მდგომარეობაა: ჯორჯესკუმ 30 მატჩში 31 გოლი გაიტანა, იასალდემ 30-ში — 30, გეელსმა 34-ში — 30, ონისმა 35-ში — 30.

იმასთან დაკავშირებით, რომ პორტუგალიისა და ჰოლანდიის ჩემპიონატები დამთავრდა, იასალდე და გეელსი ველარ გააუმჯობესებენ შედეგებს. „ფრანს ფუტბოლის" პრიზისთვის ამჟამად მხოლოდ ჯორჯესკუ და ონისი იბრძვიან.

ცენტრალურ თავდამსხმელთა გაცვლა

„ბონინსენიას არაფერი ესმის მაცოლასი" — ასეთი იყო მილანის „ინტერნაციონალეს" ხელმძღვანელობის დასკვნა. საქმე, რა თქმა უნდა, „გაგება" არაა. ცენტრალური თავდამსხმელი ბონინსენია და გამთამაშებელი მაცოლა „ინტერის" გარდა ნაკრებშიც ბევრჯერ გამოსულან ერთად, მაგრამ ისინი არასოდეს მეგობრობდნენ, პირიქით, ეკინკლავებოდნენ კიდეც ერთმანეთს. ამასობაში მაცოლა, რომელსაც „ინტერში" ყველა ქედს უხრის, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მას მეტისმეტად „ეძარჯვება" ტურინის „იუვენტუსის" ცენტრალურ თავდამსხმელ ანასტაზისთან თამაში.

და აი, მაცოლამ თავისი გაიტანა: „ინტერმა" და „იუვენტუსმა" ცენტრფორვარდები გაცვალეს — ამიერიდან ბონინსენია „იუვენტუსში" ითამაშებს, ანასტაზი კი — „ინტერნაციონალეში".

ის, რაც ლიონში მოხდა

„ლელოს" ინტერვიუ კომენტარებით

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან ყველაზე დიდ წარმატებას ძიუდოისტებმა მიაღწიეს. ალბათ გემახსოვრებათ: ამას წინათ ლიონში ჩატარებულ ევროპის პირველობაში საქართველოდან 7 ათლეტი გამოდიოდა და უმედლოდ არავინ დარჩენილა. ჩვენმა სპორტსმენებმა დიდი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის ნაკრების გუნდურ გამარჯვებაშიც.

როცა ლიონის ჩემპიონატზეა საუბარი, პირველ ყოვლისა უნდა ვახსენოთ გივი ონაშვილი და ჯიბილო ნიჟარაძე. პირველმა ოქროს მედალი მიიღო აბსოლუტურ წონაში გამარჯვებისთვის, მეორემ — მძიმეში. საქართველოს ძიუდოისტებს სხვა ჯილდოებიც ხვდათ. მაგალითად, შენგელი ფიცხელაურმა (მსუბუქი), აბდულ ბარკალაევმა (საშუალო) და შოთა ჩოჩიშვილმა (აბსოლუტური) პირად ჩათვლაში II ადგილებისთვის ვერცხლის მედლები დაიმსახურეს, რამაზ ხარშილაძემ (ქვემძიმე) ბრინჯაოს ჯილდო მიიღო. ასეთია პირადი ტურნირის შედეგები. გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებისთვის კი ოქროს მედლები გადაეცათ ამირან მუზაევსა და შოთა ჩოჩიშვილს.

ლიონში ჩვენს მოჭიდავეებს ახლდა სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ბიძინა მაჩიაშვილი, რომელსაც ვესაუბრეთ კიდეც ამ ტურნირის შედეგებსა და შთაბეჭდილებებზე. ტრადიციული შეკითხვა — კმაყოფილია თუ არა მწვრთნელი შედეგებით — არ დაგვისვამს, ვინაიდან იგი არ შეიძლება უკმაყოფილო ყოფილიყო. ამიტომ საუბარი „უფრო კონკრეტულად" დავიწყეთ.

● რამ ან, უფრო სწორად, ვინ დატოვა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე ამ ჩემპიონატში?

— ყველაზე შთამბეჭდავი იყო ჩვენი გუნდის ტრიუმფული სვლა პირველი ტურიდან ფინალამდე; ყველაზე ლამაზი და დაძაბული — გადამწყვეტი შერკინებები პირად ჩათვლაში, ხოლო ყველაზე დასამახსოვრებელი — ჯიბილო ნიჟარაძისა და ვლადიმერ ნევზოროვის გამოსვლები.

რატომ გაუსვა მწვრთნელმა ხაზი ნიჟარაძის გამარჯვებას? საქმე ისაა, რომ ჯიბილო ნიჟარაძეს და ევროპის ორგზის ჩემპიონს სერგეი ნოვიკოვს რთული სპორტული ურთიერთობა აქვთ. ცხოვრებაში ისინი მეგობრობენ კიდეც, სარბიელზე კი, ვინაიდან მუდამ მთავარი ფავორიტები არიან, ერთმანეთს ექიშპებიან. ამ ქიშპობაში დიდხანს ლელო ნოვიკოვს გაჰქონდა — მან სამჯერ დაამარცხა ჩვენი ფალავანი.

ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი კიდევ ერთხელ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ორ ღირსეულ გოლიათს ერთი ოქროს მედალი უნდა გაენაწილებინა. და ფინალი, ისევე როგორც წინა შერკინებები, ნოვიკოვის „პოზიციური უპირატესობით" დაიწყო.

მსაჯები ერთ საკითხში უდავოდ კონსერვატორები არიან: ისინი, როგორც წესი, დიდხანს რჩებიან ავტორიტეტის ტყვეობაში და, რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა თუ არ მოხდა, ვერ აღწევენ თავს სუბიექტურ შთაბეჭდილებებს. ასე იყო ამჯერადაც. არბიტრებმა რატომღაც მიიჩნიეს, რომ ჯიბილო გაურბოდა ევროპის ორგზის ჩემპიონთან გართულებებს და გააფრთხილეს.

ჭიდაობის სხვა, ნებისმიერ სახეობაში გაფრთხილება ქულაა, რომელსაც ადვილად აბათილებს ტექნიკური ილეთი. ძიუდოში კი გაფრთხილებას, ანუ იაპონურად კეი-კოკუს ვერავითარი გდება ვერ დაუპირისპირდება. შეგიძლია ათჯერ დააგდო მეტოქე, მაგრამ კეი-კოკუს ვერაფერს მოუხერხებ, თუ მეტოქეს წმინდად არ მოუგე ან მსგავსი გაფრთხილება არ მიაღებინე.

ჯიბილომ ერთი ლამაზი გდება გაუკეთა ნოვიკოვს, მაგრამ კეი-კოკუს საფუძველი ვერ შეურყია. დრო კი ნელ-ნელა იწურებოდა. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ადვილი შესაძლებელია გიმტყუნოს ნერვებმა, მით უმეტეს, როცა ტემპერამენტის სიჭარბეს გრძნობ, ნიჟარაძე კი სწორედ ასეთი აზარტული მებრძოლია. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართველმა ძიუდოისტმა ხასიათის საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა, ჯიქურ კი არ მიეჭრა მეტოქეს, ნელ-ნელა წაართვა მას უპირატესობა, სამოქმედო ასპარეზი, მერე კი, როცა იგრძნო, მოწინააღმდეგე ჩვეული რიტმიდან ამოვარდაო, გაამძაფრა იერიშები. ეს იყო სწორი, გონივრული გეგმა, რომელმაც ნოვიკოვი აიძულა ყრუ დაცვაზე გადასულიყო. ყრუ დაცვა, ფაქტიურად პასიურობაა, პასიურობისთვის კი, როგორც გახსოვთ, ჯიბილომ კეი-კოკუ მიიღო. გავიდა წუთი, მეორე და მსაჯმა ბოლოს და ბოლოს შეაჩერა შეხვედრა. გაფრთხილებათა რაოდენობა გათანაბრდა. ახლა უკვე გადამწყვეტი აღმოჩნდა გდება, რომელიც ნიჟარაძემ ბრწყინვალედ გააკეთა ბრძოლის დასაწყისში.

● ნიჟარაძის გამარჯვებას ალბათ ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ექნება ამ ორი შესანიშნავი მოჭიდავის ურთიერთობაში.

— რა თქმა უნდა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ერთი ორად, თუ მეტით არა, გაიზარდა ნიჟარაძის ოლიმპიური აქციები. ბოლო გამარჯვება მუდამ ყველაზე შთამბეჭდავია. ახლა უკვე ჯიბილოს ხელშია კოზირი, რომელმაც გზა უნდა გაუხსნას მას მონრეალის სარბიელისკენ. აი, სწორედ ამიტომ მიმაჩნია ქართველი მოჭიდავის ეს გამარჯვება ყველაზე საგულისხმოდ. ჯიბილომ ლიონში ერთბაშად ორი კურდღელი მოკლა: ევროპის ჩემპიონიც გახდა და ოლიმპიური საქმეებიც გამოიკეთა.

რატომ მიანიჭა მაჩიაშვილმა დიდი მნიშვნელობა ნევზოროვის გამარჯვებას? საქმე ისაა, რომ ბოლო 8 წლის მანძილზე სსრ კავშირს ქვესაშუალო წონაში ჩემპიონი არ ჰყოლია. წლეულს ნევზოროვმა ნავსი გატეხა და გუნდს ნანატრი ოქროს მედალი მოუტანა.

● ერთხელ, თუ არ ვცდები, თბილისის საერთაშორისო ტურნირის დღეებში, იაპონელმა მწვრთნელმა გივი ონაშვილის შესახებ თქვა: ეს გოლიათი ჭეშმარიტად ძიუდოსთვის არის დაბადებულიო. გივის სპორტული ბიოგრაფია მაშინ იწყებოდა და, როგორც ხედავთ, იაპონელი სტუმარი მართალი გამოდგა. ონაშვილისგან მხოლოდ გამარჯვებას მოველით, ამიტომაც მისი წარმატება ისე მივიღეთ, როგორც ჩვეულებრივი ამბავი.

— სრული სიმართლეა. მეტსაც გეტყვით: გივი ონაშვილს, მისი პოტენციური შესაძლებლობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტოლი არ უნდა ჰყავდეს და თუ ამას ჯერჯერობით ვერ აღწევს, მხოლოდ და მხოლოდ თვითონაა დამნაშავე. ლიონში ონაშვილის ყოველი გამოსვლა ბრწყინვალე იყო და მას ხალხი მქუხარე ტაშით ხვდებოდა. მახსენდება ერთი ასეთი დეტალი: ორიოდე წუთის წინ შოთა ჩოჩიშვილმა ლამაზად მოუგო ევროპის ექს-ჩემპიონს, ესპანელ აჯედას. ტრიბუნები ენით აუწერელი ხმაურით შეხვდა ოლიმპიური ჩემპიონის წარმატებას. შთაბეჭდილება ჯერ კარგად არც იყო განელებული, რომ არბიტრმა სარბიელზე ახალი წყვილი გამოიძახა — ჰოლანდიელი ადელარი და ონაშვილი. ადელარის გამოჩენაზე დარბაზი გაინაბა. 220 სანტიმეტრი სიმაღლისა და 150 კილოგრამი წონის მქონე ჰოლანდიელის გვერდით გივი ბავშვად გვეჩვენა. მაგრამ ამ „ბავშვმა" მესამე წუთზე სასწაული მოახდინა: აიტაცა ხელში მეტოქე, ჯერ ჰაერში შეაგდო, მერე კი ხალიჩას დაანარცხა. ყველაფერი ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. მაყურებელი ჯერ ვერც გაერკვა კარგად, ვინ იყო ზემოთ და ვინ ეგდო ძირს. მერე კი ისეთი ტაში ატყდა, გვეგონებოდათ, დარბაზი ეს არის, უნდა დაინგრესო.

ამ გამარჯვების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩემპიონის ოქროს მედალი საბჭოთა მოჭიდავეებს დარჩებოდათ. უფრო მეტიც, მას უსათუოდ საქართველოში წამოიღებდნენ, ვინაიდან ფინალში ონაშვილი და ჩოჩიშვილი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ ფინალის დღეს შოთა ავად გახდა. სარბიელზე სიცხიანის გამოსვლა უაზრობა იყო და ოქროს მედალიც ონაშვილს გადაეცა.

● ვინ როგორ ფიქრობს, არ ვიცით, მაგრამ ჩვენ აბდულა ბარკალაევის ვერცხლის მედალი წარმატებად მიგვაჩნია. თქვენ რა აზრისა ხართ?

— ჩემი სათქმელი თქვენ უკვე თქვით. მე მხოლოდ ფაქტებით გავამართავ ამ აზრს. საშუალო წონაში ნებისმიერი საპრიზო ადგილი რომ საპატიოა, ეს ფავორიტთა გვარების უბრალო ჩამოთვლიდანაც ჩანს. მაგრამ ბედმა ამჯერად ფავორიტები აშკარად გაწირა. საპრიზო ადგილებზე ვერ გავიდნენ ევროპის ბოლო წლების ჩემპიონები — ინგლისელი ჯაქსი, ფრანგი კოშე, იუგოსლაველი აბადო და ახალგაზრდა, ფიზიკურად ძალიან ძლიერი მოჭიდავე ბეხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ბარკალაევი ამ ძლიერ კომპანიაში დინჯად და დაბეჯითებით მიიკვლევდა გზას ფინალისკენ. შეფერხდა იგი მხოლოდ ერთხელ, ფრანგ რულოაანთან ორთაბრძოლაში. შეხვედრა, მართალია, წააგო, მაგრამ ნეკნი იტკინა და გადამწყვეტ შერკინებაში პოლონელ რეიტერთან მთელი ძალა ვერ გამოავლინა.

● სხვა ჩვენი ძიუდოისტების შესახებ რაღას იტყვით?

— პირველ ყოვლისა უნდა გამოვყო შენგელი ფიცხელაური. იგი გამოცდილი მებრძოლია, დინჯი, წინდახედული, მან ერთადერთი ბრძოლა წააგო და მეორე ადგილზე გავიდა — მეტოქის შესაძლებლობები კარგად ვერ შეაფასა, თორემ უკეთეს შედეგსაც მიაღწევდა. რაც შეეხება რამაზ ხარშილაძეს, იგი ზედა წონაში ასპარეზობდა, წააგო ერთადერთი შეხვედრა ფრანგ რუჟესთან და ბრინჯაოს ჯილდოს დასჯერდა. ძიუდოს ასეთი მკაცრი წესები აქვს: წააგებ ერთ ბრძოლას და უნდა გამოეთხოვო უმაღლეს ჯილდოზე ფიქრს.

● ჩვენს პრესაში დაწვრილებით არაფერი დაწერილა გუნდური ჩემპიონატის შესახებ. ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ თქვენს აზრს გაგვიზიარებთ.

— გუნდური ჩემპიონატი ჩვენმა ნაკრებმა ბრწყინვალედ დაიწყო — ორი მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა. ჯერ თურქებს მოვუგეთ „მშრალი" ანგარიშით — 5:0, მერე ასეთივე შედეგით პოლანდიელები დავამარცხეთ. არ გაგვჭირვებია არც ნახევარფინალური შეხვედრის მოგება პოლონელებთან. ფინალი კი მეტად დაძაბული გამოდგა. ფრანგებთან ბრძოლა ფრთხილად დავიწყეთ. ივშინის ფრეს მოჰყვა ნევზოროვის ლამაზი გამარჯვება, მაგრამ ფრანგებმა ისევ გაათანაბრეს ანგარიში — დამარცხდა ვოლოსოვი. მერე კი ჩვენი ნაკრებისთვის კრიტიკული მდგომარეობა დადგა. მუზაევის წაგების შემდეგ დაწინაურდნენ ფრანგები. ბოლოს, გადამწყვეტი შერკინების წინ ჩოჩიშვილმა ნეკნი იტკინა. პატარა თათბირის შემდეგ გუნდის ბედი ნიჟარაძეს ჩავაბარეთ. ევროპის ჩემპიონის წინაშე ძნელი ამოცანა დადგა — შეხვედრა ბერტიესთან მას უსათუოდ უნდა მოეგო და ისიც წმინდად. საბჭოთა კავშირის ნაკრებს მხოლოდ ეს წმინდა გამარჯვება მოუტანდა ოქროს მედალს. და აი, ჯიბილო ლომივით დატრიალდა სარბიელზე. სულ მალე საბჭოთა ფალავნის უპირატესობა აშკარა გახდა. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, მოასწრებდა თუ არა ჯიბილო წმინდა გამარჯვებას. ჩვენი ეჭვები ნიჟარაძემ მესამე წუთზე გაფანტა ეფექტური გდებით. ეს იყო გამარჯვება ჯიბილოსი, ჩვენი გადაწყვეტილებისა, მთელი გუნდისა. ჯიბილოს, მართალია, გუნდურ ასპარეზობაში ოქროს მედალი არ ერგო, ვინაიდან სარბიელზე მხოლოდ ერთხელ გამოვიდა, მაგრამ ორგანიზატორებმა სპეციალური თასით დააჯილდოვეს ამ შერკინებაში ლამაზი გამარჯვებისთვის.

ნ. ბუბუშვილი.



„ლელოს" 5 ივნისის ნომერში ვწერდით, რომ პოლონეთის მძლეოსანთა ჩემპიონატზე ვოძინსკიმ 110 მეტრზე ბარიერებში შესანიშნავი შედეგი (13,8) აჩვენა და თავისი ქვეყნის რეკორდი გაიმეორა.

მიროსლავ ვოძინსკი საერთოდ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი [illegible] ამ სახეობაში. ვარშაველი ფოტოკორესპონდენტის ლ. [illegible] ამ სურათზე სწორედ ვოძინსკის ხედავთ მეუღლესთან ერთად, რომელიც სახელმძღვანელოს დახმარებით ინგლისურ ენას [illegible] ქმარს.

მოროზოვა მეოთხედფინალში

პარიზი, 10 ივნისი. მოსკოველი ჩოგბურთელი ო. მოროზოვა გავიდა გრუნტიან კორტებზე არაოფიციალური მსოფლიო პირველობის — საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში. „როლან გაროსის" კორტებზე მიმდინარე გათამაშებაში [illegible] — 6:1, 6:0.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ჩოგბურთელები ა. მეტრეველი და [illegible]

რეკორდები

ჰალე, 11 ივნისი. გდრ-ის ჩემპიონატში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კარლ-მარქს-შტადტის [illegible] მოსწავლე გოგონამ უ. ტაუბერმა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მისი შედეგია 2.18,83. მან 0,14 წამით გააუმჯობესა თავისი შარშანდელი მიღწევა.

სამი დღის წინათ ტაუბერმა, რომელსაც მალე 17 წელი შეუსრულდება, მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციები, ვეტერანი ფეხბურთელები, „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ფეხბურთელი
ალექსანდრე (ბოჩია) სპირიდონის ძე გუნია
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის [illegible]
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. [illegible]
ტელეფონები: [illegible] — 93-56-14, 93-97-50; [illegible] — 93-97-51; [illegible] — 93-97-52; [illegible] — 93-97-55, [illegible] — 93-56-47, 93-97-53, [illegible] — 93-81-71, 93-97-56, [illegible] — 93-97-57, [illegible] — 93-97-51, [illegible] — 93-97-54; [illegible] — 93-97-59; [illegible] — 93-97-58; [illegible] — 93-93-81; [illegible] — 93-97-49.